


ပန်မြတ် ဂဒခန္ဓာ

5~5'20

ဒုက္ခန္ဓာ
စောင်ရွက်

1927წ.



ქადაგი ივანიშვილი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის საზღვარგარეთელი ახალგაზრდა |
თა პარიზის კომიტეტის ორგანო

პარიზი. დეკემბერი 1927წ.




1837 - 1907
გარდაცვალების 20წ. თავზე

ქ ვ ე ლ ი და ა ხ ა ლ ი ი ვ ე რ ი ა

თოი თარიღი შეეფარდა «ა ხ ა ლ ი ი ვ ე რ ი ა ს» გამოცემის და-
საწყისს: 50 წ. შესრულება ილიას «ი ვ ე რ ი ა ს» დაწყებიდან და 20 წ. თავი
ილიას უმაგალითო ეროვნული მოღვაწეობის შეწყვეტისა, მისი ცხოვრე-
ბის ტრადიკული დასრულებით.

პირველიც და მეორეც ილიას სახელსა და ლვაწლს უკავშირდება და
თვით ეს ჩვენ მიერ დაწყებული პატარა ეროვნული საქმეც მუდად იქნება
დამყარებული ილიას მოღვაწეობის მტკიცე საფუძვლებს, რა ხანი და გამ-
ძლეოვაც არ ექნეს ამ «ახალ ი ვ ე რ ი ა ს», სწორეთ ისევე, როგორც ი ლ-



ა დ ა ძ ი წ ე რ ე თ ე ლ ი

ი ა ჭავჭავაძისა და მისი სახელოვანი დასის მიერ ფართო ეროვნულს ასპა-
რეზედ იყრის თავს და მასში ჰქონდებს ძალას ყოველი ჩვენი სალი ეროვნუ-
ლი საქმიანობა დიდი თუ მცირე.

ი ვ ე რ ი ი ს 30 წ დასაწყისში როგორც თვიური გამოცემის და შემ-
დეგ კი როგორც ყოველდღიური განვითარების, განუზომელი მნიშვნელობის
მოვლენა იყო ქართველ ერის ისტორიაში. ის ყველაზედ ხანრძლივი ღრმა
და დარბაისული ქართული გამოცემა ვერც სწორ ვერრ ღირსებით და მნი-
შვნელობით ვერ გაუსწრო საქართველოში მას რომელიმე სხვა გამოცემამ
შემდეგაც კი როდესაც ფართე სარბიელი გაუხსნა და გაუკაფა მან ქართუ-
ლს პრესას

ამ გამოცემის გარშემო დარაჩმა მესამოციანთა შესანიშნავი დასი მათი მოღვაწეობის მეორე ნახევრიდან. ის გახდა ხელმძღვანელ ეროვნულ შტაბათ და მის გარშემო იყრის თევს საქართველოს ეროვნულ აღორძინების ყოველი სიტყვა და საქმე პოლიტიკური, კულტურული, თუ ეკონომიკური. ის გახდა აგრეთვე სკოლად, რომელიც ზრდის და სწარობის ეროვნულ ასპარეზის ყოველ დარგის მუშაკთ და მით ამრავლებს მესამოციანთა ძლიერსა მაგრამ მცირერიცხოვან გუნდს.

ამ ლაშქრის აზრი და მოქმედება ემყარებოდა ქართულ სინამდვილის. წარსულისა თუ აწყოს ლრაა შეგნებას. ამ რეალობის საღ შეგნებაზე დიკ დაფუძნებული ყოველივე მათი მოქმედება, მოღვაწეობა. აქედან ბევრი რამ ჩვენ უკვე არ დაგვაკმაყოფილებს. ბევრმა გააკეთა თავისი საქმე და დღეს არ გვჭირია. მას შემდეგ ჩვენი ცხოვრების პირობებიც გამოიცვალა ზოგი მათი მოღვაწეობით ზოგი სხვათა მათ შემდგომ და ზოგი კიდევ გარეშე პირობების გამო.

მაგრამ ვერ დაგვიშლის ჩვენ ამ წრის, მიერ გამზადებულ, ეროვნულ ბრძოლის ველზე დავთვეთ ადკიცედ-გაბედულად და განვაგრძოთ მათ მიერ ნაახდერძევი საქმე ჩვენი ძალისა და ღონის მიხედვით.

შეცვლილს პირობებს ახალი მოქმედების შეფარდება სჭირია, ახალი მარალი და ახალი ხერხი და მათ მიერ დატოვებულ ქართულ ცხოვრების იაშენობას კი მუდმივი მზრუნველობა და პატრიონობა. ასეთია ჩვენისა და მომავალი თაობების ამოცანა და დანიშნულება.

ამ დიდ საქმეში ჩვენი პატარა საქმე და იყოს მხოლოდ ვით წვეთიზღვაში, ეს იქ ება ჩვენი გამოცემის პირველი ნატვრა და სურვილი.

ჩვენ კადნიერათაც მივიჩნევდით ჩვენი გამოცემისათვის ივერი ის დიდი სახელის მიკუთვნებას. მაგრამ საჭიროა რომ ეს დიდი და ბედნიერი სახელი მუდამ სცოცხლობდეს ჩვენს ერში მოსაგონრადა ჩვენი შეუწყვეტელი მოვალეობა დიდი სახელისა და დიდი ლვაწლის წინაშე.

ამ სახელის მატარებელმა ბუმბერაზ მოღვაწეებმა გაშალეს ბრწყინვალე და დიდი დროშა საქართველოს აღდანისა და განვითარებისათვის. მათ გაჰკატეს სხვათათვის გაურკვეველი გზა ეროვნული ბრძოლისა და ის ფართე შარად აქციეს: ამის შემდგომ ამ ბრწყინვალე დროშის ქვეშ დგომა და ამ გეზით სვლა გადვილებულია და ეს უნდა გაბედოს ყველამ დიდმა თუ მცირე ძალოვანმა,

ეს გვაიმედებს რომ ჩვენი საკრთარი ძალებითაც შევძლებთ ამ გზის ჩენგრძობას

პატრიოტულო ქართველო ახალგაზრდობავ!

ეს არის ჩვენი წმინდა მოვალეობა კვლავ მონაბის ულლის ქვეშ მგმინავ ერის წინაშე და ჩვენ ბეჯითად და მტკიცედ შეუდგეთ წრთვნას და მზადებას ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის.

V 2
საქართველოს ეროვნული აღმოჩინების.

ბ ე ლ ა დ ი

ილია ჭავჭავაძის ლგაწლის გაზომვა და შეფასება შეუძლებელია ჩვენი მცირე გამოცემის ფურცლებზედ. ვერც დიდ ტანიანი წიგნი ამოშრეტს ჩვენს დროში ამ საგანძუროს სიღრმე-სიგანეს.

ჩვენი თაობისათვის ჯერ კიდევ არ არის ხილული მრავალი საიდუმლოებანი ილიასი და მისი დასის დანანერგის, დანატოვარის. შავ ბნელ საუკუნეთა გასწვრივ გამშრალსა და გამოფიტულს ეროვნულს ყანას ამზადებდა, აპოხიერება ის, ნახევარი საუკუნე სტესდა და რგავდა. ზოგი ნათესი თვეებზედ აღმოცენდა, ზოგი წლებზედ და დარჩა მრავალი კიდევ სხვა ბუნებისა.

ათეული წლობით უნდა ზდილიყვნენ მათი ფესვები მიწის წიაღში რომ მხოლოდ შემდეგ ამოეყოთ ზემოთ ამაყათ თავი, ლრმად გამდგარ ფესვებზედ საიმედო დამყარებული.



დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი

ამ ნათესობის თან და თან აღმოცენების და აუავვების მოწამე იყო
ილიას შემდეგ გამოსული თაობანი და ჩვენს, ეხლანდელნი, ვინ რამდენი
აღმოცენდება კიდევ და გაიშლება, ანუ ვინ იცის, რამდენი პყვავის კიდეც
და მისი მნიშვნელობა, სარგებლობა ჯრ კიდევ არ გაგვიჭვრიტავს, არ
ეგვიგნია,



ს მ ე ს ხ

ვიცით და შევიგნეთ მხოლოდ რომ ეს იყო აღდგენა, აღორძინება
სულით გატეხილი, ხორციელად დაცემულის, დაავადებული ქართველი
ერის.

ვიტით და ვხედავთ, რომ ამ დიდს მემკვიდრეობას არ აჩნდება შემდეგთა მონამატი ვით კენჭი კლდისა,

მაგრამ ჩვენ უძლური ვართ გავსწვდეთ მისი სივრცე-სიმაღლეს ჩვემნი თვალითა და გონების მხედველობითა, ისევე როგორც თამარის ხანის თელი სიდიადე შეუგნებელი იყო მის დროის ქართველისათვის და მხოლოდ საუკუნეთა სივრცეზედ დალაგდა ამ ეპოქის ნაანდერძევი ლირებულებანი და ასეთი სიშოანდან გამოჩნდა ის აღმართული სხვაზედ მაღლა ვით იალბუზი კავკასიონის მთათა გრეხილზედ,


ა რ ე (გაგრძელება იქნება)



ილია ახალგაზრდობაში

ძესმის, მესმის სანატრელი
 ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
 სიმართლის ხმა ქვეყნათა ჰქუეს
 დასათრგუნვად მონობისა.

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში,
ღმერთო მღერთო. ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში. I)



ნ. ც. ხ ვ ე დ ა ძ ე

I) ეს ლექსი დასწერა ილიამ 1860 წ. რომელსაც გარიბალდიმ რომის-
კენ გაილაშქრა. მხოლოდ 10 წ. შემდეგ მოახერხა მისი ცენტრალიზი გატარ-
ება ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც დაარწმუნა ცენტორი, რომ ეს ლექსი ეხება
ბატონ ყმობის გადავარდნას რუსეთში და ამიტომ შეიცავს მთავრობის ქა-
ბას და მოწონებას.

ტყემ მოისხა ფოთოლი
აგერ მერცხალი სჭყივის,
ბალში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო
შენ როდის აყვავდები?



ნიკო ნიკოლაძე

-**-

მიგიხვდი ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. « ჩვენი თავი
ჩვენადვე გვეყდნესო, -სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა,
რაღაც უეპარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში გა-
თხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში რო-
დემდის? ოპ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც
ამისი პასუხი.

(მგზავრის წერილებიდან)

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?


აპა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!... რა მოვულობოთ ჩვენს თავს ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთიარა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ჭრიათ: „ოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წარხვედიკ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულას ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვსტკვ. ათ: მოვედინ, დღეო სიხარულისაო!.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუ თუ ისევ ძველებურათ თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ : შეოვდგი ფეხი, გშეალობდეთ ღმერთი... სულ წყალობა ღვთისა და წყალობა მღვთისა, ერთხელ ჩვენ თითონაც თითი გავანძრიოთ, ერთხელ ჩვენ თითონ აც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თვითონ ადამიანი არა პრწყავს არა ჰსხლავს არა პფურჩქნის, არ პპატრონობს! ღმერთმა, რაც წყალობა იყო უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქაენმა კაცობამაო. კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშურვებია რა, არა დაუზოგვია-რა, არა არა დაუკვლია-რა, თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, ქრისტე ღმერთმა თვისი კალთა უხვებისა აქ დაიბლერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელით გვიშირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანო სამართლიანი დ სტკვან: ისხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაა, ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, პაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა, სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არაიშოვ, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოლონდ ხელი გასძარი გაისარჯე იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი, იცოდე დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძლარ სურვილებისამებრ ვართ-კი ასეთნი!.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხედია თავს, რამტრები მოგვსევიან ვაი-ვაგლახი, რა სისხლი რა ღრუენა კბილთაარ გამოგვივლია. რაწისქვიტის ქვა არ დატრია ლებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემუ. რებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცო-ცხლდით. შაპ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ შვლნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-მაპმად-ხანებმა კირქვე და გვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს მოგასრნეს მოგაელიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით წელში გავსწორდით. გაუძელით საბერძნე-თს, რომსა, მონლოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამვლებული, ხელში შევირჩინეთ, არ ავის წავალებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინებთ. ცოდვა არ არის, ეს ღროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავვმა დაგვიჭრას!.. დრო უამიმას გვიქადის. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?




იაკობ გოგებაშვილი

ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვათ ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუდელეთ მკერდი და ამ მკერდზე როგორც კედელზედ, დაუდგით ქრისტიანობას საკრატი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჭოჭოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიულიტენით, თავი გავიწიოთ, ცოლშვილნი გავწიოთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ამ ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქცეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს სამართლიანის თავ-მოწონებით ვეძახით. ცოტვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ეს ლომი კოლომ საბურთ ად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოლრლნას როგორც მძღვარი, როგორც ლეში! რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? რა გითხრათ-რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევიძელით და საკათხავად საჭიროა, რამ შეგვაძლებინა? რაგვისსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მფრქვეველნი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვისსნა, რამ შეგვინახა! იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით იმ დროთა ქარცეც ერხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაკედნი. «სილბო გვქონდა ნაქსოვისა». ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაკედისა“, ვით მეობრებსა და მამულიშვილებ. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა, ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით; გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამ ოვიკვეთთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმ ვერა დაგვაკლოვა-რა, შრომით და გარჯით ცოდნით ხერხით მოსეული-კითან გაგვიტანს, ფეხ ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის სახელს გავიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაჩებეთ, წინ არ დავახვეტრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველივე ი-ისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით? რა გითხრათ? რით გაგახაროთ-

არ ვიცით რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ რანი ვართ, ვერ გამოგვისახია რანი ვიქნებით? ყურებში ბამბა გვაქვს და ცვალებზედ ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველები წინ და აინუნშისიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვპრან და შიგ „გადავიძეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს რომ გამოხრან, გამოსწიტკნონ, ისეთი ლრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვსდგევართ და ულონოთ ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიოა“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის რა. იქნება იმიტომ რომ ყველა ბუზი ბზუიზ, ფუთკართან-კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ- რით გაგახაროთ?



ილიას ქეგლი მამადავითზედ

3-520